

УДК 316.6

მორალური ინტელექტი როგორც ადამიანის სუბიექტური კეთილდღეობის საფუძველი

გიორგი გოროშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მოცემულ სტატიაში ნაცადია სუბიექტური კეთილდღეობის ფორმირებაში მორალური ინტელექტის როლის გარკვევა, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისთვის, ისე მათი პროფესიული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის. კვლევაში ნაჩვენებია სუბიექტური კეთილდღეობის მიღწევაში მორალური ინტელექტის წამყვანი როლი. მისი განვითარება ნელი მიმდინარეობით ხასიათდება, ვინაიდან ნაკლები აქვს ხელშეწყობა. ამისთვის საჭირო ხდება ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტების მკვეთრი გააქტიურება, როგორებიცაა: განათლება, სარწმუნოება და სამართალი. მათი მხრიდან მორალური ინტელექტის განვითარების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს საზოგადოებაში პოზიტიური პროცესების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: სუბიექტური კეთილდღეობა, მორალური ინტელექტი.

ადამიანი ყოველთვის მიისწრაფოდა კომფორტული სულიერი მდგომარეობის, სუბიექტური კეთილდღეობის (ბედნიერების) მოპოვებისკენ. ამას უამრავი ფაქტით ადასტურებს მისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია. თუკი ცივილიზაციის საწყის ეტაპზე მსგავსი სულიერი მდგომარეობის მოპოვების წყაროს მატერიალური სიკეთეების მოპოვება წარმოადგენდა, სოციალური ევოლუციის პროცესში თანდათანობით ჩნდება ამ სასურველი სულიერი მდგომარეობის მისაღწევად ადამიანისთვის დამახასიათებელი უფრო მაღალი დონის სუბიექტური მდგომარეობების აღმოცენებისა და გააქტიურების საჭიროება. ეს პროცესი ძალიან ნელი მიმდინარეობით გამოირჩეოდა, ვინაიდან ადამიანის ყოფითი, მატერიალური საჭიროებები ყოველთვის ითხოვდა მეტი დროის დათმობას და ძალების მობილიზებას. საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ ადამიანური არსების ფიზიკური და ფსიქიკური ასპექტების, მატერიალური და სულიერი საწყისების განვითარების ტემპები მკვეთრად ასიმეტრიული აღმოჩნდა და განვითარების დღევანდელ საფეხურზე კი მატერიალური საჭიროებების მოპოვებას ეთმობა გაცილებით უფრო მეტი დრო და ენერგია, ვიდრე სასურველი სულიერი მდგომარეობების მოპოვებას. ამას პიროვნული განვითარების უფრო მაღალი დონე ესაჭიროება, რაც პირველ რიგში საკუთარ თავზე მუშაობას მოითხოვს. სწორედ სულიერების ხსენებული დეფიციტი წარმოშობს ადამიანებს შორის დამაბულობას, კონფლიქტებს, დანაშაულს და სხვა ნეგატიურ სოციალურ მოვლენებს. დღევანდელ მსოფლიოში განსაკუთრებული სიმწვავეთ აღინიშნება ადამიანის სულიერი ცხოვრების განვითარების და გამდიდრების საჭიროება.

მოაზროვნეები და მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რა არის ბედნიერი ცხოვრება. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისინი განიხილავდნენ ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა სიყვარული, სიამოვნება და თვითპატივისცემა, როგორც ცხოვრების დონის განმსაზღვრელი მახასიათებლები. ერთ-

ერთი კონცეფციის მიხედვით, ბედნიერ ცხოვრებაში ხშირად იგულისხმება ის, როდესაც ადამიანი თავად ფიქრობს იმას, რომ იგი ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობს. ეს მიდგომა დიდად გვეხმარება სუბიექტური ბედნიერების ანუ სუბიექტური კეთილდღეობის (Subjective Well-being) ამოცნობაში. ადამიანები თავს შედარებით ბედნიერად გრძნობენ მაშინ, როდესაც განიცდიან უფრო მეტ პოზიტიურ ემოციებს მინიმალური ნეგატიური ემოციების ფონზე, როდესაც ისინი ჩართულები არიან საინტერესო აქტივობებში და როდესაც გრძნობენ, რომ კმაყოფილები არიან საკუთარი ცხოვრებით. დღევანდელ მსოფლიოში ადამიანთა უმრავლესობის მიერ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ცხოვრებით კმაყოფილების, სუბიექტური კეთილდღეობის (ანუ ბედნიერების) განცდას, რომელიც ხშირად მატერიალური საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ მიიღწევა [1], მაგრამ მის გარეშეც ავლენს თავს, რაც პიროვნული განვითარების სხვადასხვა დონეზე დიდად არის დამოკიდებული.

მკვლევარებს დაუგროვდათ იმის მრავალი მტკიცებულება, რომ ცხოვრებისეული გარემოებების და მიღწევების დიდი ნაწილი სუბიექტურ ბედნიერებასთან ძალიან დაბალ კორელაციაშია. მაგალითად სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ არსებობს მცირე პოზიტიური კორელაცია სუბიექტურ ბედნიერებასა და შემოსავალს შორის. აღმოჩნდა ისიც, რომ ადამიანების სურვილები იზრდება მათი შემოსავლის ზრდასთან ერთად. შემდეგ ისინი ადაპტაციას განიცდიან შემოსავლის მაღალ დონესთან, რაც საბოლოოდ იწვევს ბედნიერების განცდის ინტენსივობის კლებას [2].


ადამიანის სუბიექტურ ბედნიერებას მრავალი შემადგენელი ელემენტი გააჩნია, რაც ქმნის მისი გამოვლინებების საკმაოდ დიდ მრავალფეროვნებას და ქცევის პროგნოზირების სირთულეებს. ყველაზე მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რომელ ელემენტს ენიჭება მის ფორმირებაში პრიორიტეტული როლი. მეცნიერთა უმრავლესობა სუბიექტურ ბედნიერების მღწევაში მთავარ როლს ემოციური პროცესების სწორად ორგანიზებას ანიჭებს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ემოციური ინტელექტი, რომლის მნიშვნელობაშიც სწორედ ემოციურ პროცესთა რეგულირების მექანიზმი იგულისხმება. ემოციური ინტელექტი ბოლო ხანებში სულ უფრო მეტი მეცნიერის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მას ხშირად კოგნიტურ ინტელექტზე უფრო მაღლა აყენებენ. მეცნიერები ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის სულ უფრო მეტად იხრებიან მისი ირაციონალური ბუნებისკენ, რომელიც უპირისპირდება ადამიანის ქცევის რაციონალური საწყისების პრიორიტეტულობის გაგებას, რაც წარსულში ფართოდ გავრცელებულ და უალტერნატივო მიდგომას წარმოადგენდა.

ემოციურ ინტელექტში იგულისხმება როგორც საკუთარი, ისე სხვების ემოციების აღქმის ზოგადი უნარი. ამასთან, აღნიშნული უნარი გვეხმარება ემოციების მართვასა და დამაბულ ემოციურ სიტუაციებთან ეფექტურად გამკლავებაში. პრობლემების აღმოცენება სხვებთან ურთიერთობებში, სამუშაო სტრესთან და კონფლიქტებთან გამკლავების სიძნელე და სხვა მსგავსი პრობლემები, როგორც მიიჩნევა, დაბალი ემოციური ინტელექტის მაჩვენებელი უნდა იყოს. ემოციური ინტელექტის განვითარება/გავარჯიშება სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სხვა ტიპის ორგანიზაციებში წარმოადგენს ბევრი პრობლემის გადაჭრის სწრაფ და ეფექტიან საშუალებას. ემოციური ინტელექტის მთავარი

განზომილებებია შემდეგი: ა) თვითშემეცნება, ბ) თვითმართვა, გ) თითმოტივირება, დ) თანაგრძნობა, ე) სოციალური უნარ-ჩვევები. ემოციური ინტელექტს ემოციური პროცესების სიღრმისეული თავისებურების გამო დიდი პოტენციალი გააჩნია ფსიქიკურ პროცესთა და ქცევების პროგნოზირების საკითხში [3].

აღნიშნული მოვლენების შესახებ წარმოდგენილი მოსაზრებების საფუძველზე, ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა ემპირიული კვლევა ხსენებულ მოვლენებს შორის მიმართებათა თავისებურების დადგენის მიზნით. სუბიექტური კეთილდღეობის კვლევა განხორციელდა „ოქსფორდის ბედნიერების საკვლევი კითხვარით“, ხოლო ემოციური ინტელექტის კვლევა განხორციელდა „ნ. ჰოლის ემოციური ინტელექტის საკვლევი კითხვარით“. ორივე კითხვარი კრონბახის კრიტერიუმის მიხედვით მაღალი სტატისტიკური სანდოობით გამოირჩევა [4]. კვლევის შედეგებიდან გამოვლინდა ის, რომ სუბიექტური კეთილდღეობა უფრო მაღალი დონის მოვლენას წარმოადგენს ემოციურ ინტელექტთან შედარებით და, შესაბამისად, უფრო მეტად განსაზღვრავს ემოციური ინტელექტის მაჩვენებლებს და არა პირიქით (იხ. დიაგრამა 1):

დიაგრამა 1



ამას სავარაუდოდ განაპირობებს ის, რომ სუბიექტური კეთილდღეობა ისეთ სიღრმისეულ და სტაბილურ მოვლენებთან არის ასოცირებული როგორც პიროვნული და სოციალური ღირებულებები, მორალი და სხვ. [5]. [6], [7], [8], [9], [10], [11], ხოლო ემოციურ ინტელექტთან (და არა ემოციებთან) ასოცირებული მოვლენების რაოდენობა უფრო მცირეა. სხვა სიტყვებით, სუბიექტური კეთილდღეობის მენტალური „გარემო“ უფრო მდიდარია და სტაბილურია ვიდრე ემოციური ინტელექტის.

მეცნიერებაში დღემდე ითვლებოდა, რომ ინტელექტი არის ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ყველაზე უფრო მაღალი დონის მოვლენა. ზემოაღნიშნული კვლევის შედეგი მეტყველებს ამის საპირისპიროზე. ამდენად, ეჭვის ქვეშ დგება აქამდე აღიარებული ჭეშმარიტება, რომ ინტელექტი წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკური აქტივობის უმაღლეს „ინსტანციას“. როგორც ჩანს მოვიდა იმის დრო, რომ ეს ურყევი ჭეშმარიტება ეჭვის ქვეშ იქნეს დაყენებული. ბოლო წლებში გახმაურებული და ნობელის პრემიებით დაჯილდოვებული ფართომასშტაბიანი გამოკვლევები ეკონომიკაში ადამიანის ქცევებში ირაციონალური ფაქტორების დომინირების შესახებ ამის აშკარა და სანდო დადასტურებას წარმოადგენს. ამრიგად, სუბიექტურ კეთილდღეობას (ბედნიერებას)

ენიჭება წყევანი როლი ადამიანის გაწონასწორებული სულიერი მდგომარეობის მიღწევაში და სოციალური აქტივობების მაღალეფექტიანად წარმართვაში.

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ადამიანში ყველაზე უფრო ამაღლებულ მოვლენას მისი მორალური მრწამსი წარმოადგენს. ასევე, ადამიანებს აერთიანებს კარგად ყოფნისა და ბედნიერების ღრმა და ძლიერი სურვილი. თვითრეალიზაციით ბედნიერების მიღწევა არის ადამიანების ცხოვრების მთავარი საზრუნავი. ა. მასლოუს მოტივთა იერარქიის ფართოდ აღიარებული მოდელის ლოგიკა ამის ნათელი დადასტურებაა. სხვა მეცნიერთა მიხედვით, უმაღლეს საფეხურზე ხდება სულიერი სიმშვიდის და მთლიანობის სიღრმისეული განცდის მიღწევა. ამ საფეხურზე არ არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ალოგიკური განცდები. აქ განცდები გაწონასწორებულია და ურთიერთშემავსებელია. ეს არის ისეთი კომფორტული სულიერი მდგომარეობა, რომელიც მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის მაღალი მორალური მრწამსის არსებობის პირობებში, სადაც ინტელექტი დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. თუ ადრე ადამიანი განისაზღვრებოდა როგორც გონიერი არსება (**Homo sapiens**) და მისგან ძირითადად მოელოდნენ ინტელექტუალური მოღვაწეობიდან გამომდინარე პროდუქტების მიღებას, დღევანდელ ტექნოლოგიურ და დიგიტალიზებულ სამყაროში ადამიანის არსების გამომხატველ განსაზღვრებად სულ უფრო ადეკვატურად მიიჩნევა „**Homo moralis**“ ანუ ისეთი სუბიექტური მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობას (მენტალურს, ემოციურს), კომფორტულ სულიერ მდგომარეობას და სუბიექტური კეთილდღეობის (ბედნიერების) მიღწევის რეალურ შესაძლებლობებს.

მოვლენებს შორის სიღრმისეული კავშირების ძიებისას, რაც მეცნიერების უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენს, საჭიროა შეძლებისდაგვარად გასათვალისწინებელია ის, რომ ეს შესასწავლი მოვლენები ერთმანეთთან შედარებადი იყოს ანუ საერთო „საფუძველი“ მოეძებნებოდეთ. ამ შედარებადობის გათვალისწინების გარეშე შეიძლება სრულიად განსხვავებულ თვისებრიობათა მქონე მოვლენები აღმოჩნდნენ ერთმანეთთან დაკავშირებულები, რაც სტატისტიკისთვის უცხო არ არის. ეს შემდეგ საუბრებად ედება მცდარი დასკვნების კეთებას და მოვლენათა შორის მიმართებების მცდარი სურათის ჩამოყალიბებას. მსგავს შემთხვევებში შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ფაქტების კონსტანტაცია, რის შემდეგაც მსჯელობათა განვითარება სასურველი შედეგის მომტანი შეიძლება ვერ აღმოჩნდეს. წამოწყებული მსჯელობა გვიბიძგებს იმისკენ, რომ ემოციურ ინტელექტსა და სუბიექტურ კეთილდღეობას შორის მიმართება განსხვავებულადაც იყოს გააზრებული. კერძოდ, მოსანახია ის საერთო საფუძველი, რომელიც იძლევა მათი ერთმანეთთან შედარების შესაძლებლობას. ჩვენ შემთხვევაში ასეთ საფუძველად შეიძლება გვევლინებოდეს ფსიქიკური შინაარსებით ოპერირების უნარი, რომელიც **ჟან პიაჟეს** ცნობილი თეორიის მიხედვით ინტელექტის არსებით თავისებურებას წარმოადგენს. იგი ზრდასრული ადამიანის ინტელექტს ფორმალური ოპერაციების აქტიური გამოყენების უნარის მქონედ ახასიათებს. მრავალრიცხოვან საგულისხმო გამოკვლევებში, რომელსაც იგი უთმობდა ადამიანის კოგნიტური განვითარების ანუ მისი კოგნიტური ინტელექტის შესწავლას, გამოყენებულია როგორც აბსტრაქტური ალგებრის, ისე ფორმალური ლოგიკის ფუნდამენტური წარმოდგენები და ინსტრუმენტები, რომლებიც აბსტრაგირებულია მოვლენათა კონკრეტული შინაარსებისგან და გააჩნიათ ნებისმიერი მოვლენის აღწერის შესაძლებლობა [12]. ჟან პიაჟე გადაუჭარბებლად შეიძლება დასახელდეს როგორც ადამიანის ინტელექტის

უბადლო მკვლევარი, რომლის მიგნებებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. იგი წარმოადგენს ყველაზე მაღალ ავტორიტეტს ინტელექტის შესწავლის სფეროში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მისი თეორია ყველაზე უფრო მეტად იმსახურებს ნდობას და შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ბაზისური მიდგომა. აქედან გამომდინარე, ინტელექტის გააზრებაში უპირველეს ყოვლისა ნაგულისხმები უნდა იყოს ზრდასრული ადამიანის მიერ ფორმალური ოპერაციების გამოყენების უნარი, რომელიც განაპირობებს სხვადასხვა შინაარსებით ოპერირებას, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი. ოპერირების უნარი აძლევს ადამიანს ობიექტურ გარემოში გარკვევისა და მასთან ადაპტაციის განხორციელების შესაძლებლობას. ეს უნარი არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უსაფრთხო და სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებისთვის. ოპერირების უნარის გარეშე ადამიანი ვერ მოახერხებდა გარემოს ნეგატიური ზეგავლენებისგან თავის დაღწევას და აღმოჩნდებოდა მსხვერპლის როლში. ე.ი. ვერ შეძლებდა გარემოსადმი ადაპტირებას, გადარჩენას და განვითარებას. ნათქვამიდან დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ინტელექტის არსს ოპერირების უნარი წარმოადგენს.

ინტელექტზე, როგორც ამოცანის გადაწყვეტის უნარზე, მსჯელობდნენ ფსიქოლოგიის დარგის ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორებიც არიან: გალტონი, ბინე, შტერნი, ვექსლერი, სპირმენი (გამოყო ზოგადი ინტელექტი), გილფორდი, კეტელი, სტერნბერგი, გარდნერი (მრავლობითი ინტელექტი) და სხვ. ყველა ისინი ინტელექტს განიხილავდნენ როგორც პრობლემის გადაწყვეტის უნარს, ხოლო ჟან პიაჟე უფრო კონკრეტდება და ფორმალური ოპერაციების ფართო გამოყენების საფუძველზე ფაქტობრივად გამოყოფს ინტელექტის ფუნდამენტურ თავისებურებას - ოპერირებას. ამ ზოგადი ფორმალური პლათფორმიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი ისიც, რომ ჟან პიაჟეს ინტელექტის განვითარებასთან ერთად ნაცადი ჰქონდა ადამიანის მორალური განვითარების აღწერაც, თუმცა ამ მიმართულებით კვლევები მას რატომღაც აღარ გაუგრძელებია [13]. როგორც ჩანს, ჯერ ალბათ საჭირო იყო ამ ტიპის მოვლენების შესახებ მეცნიერთა წარმოდგენების კიდევ უფრო მომწიფება და სათანადო კვლევებით მათი ცოდნის გამდიდრება, რომელიც თანდათანობით უფრო შემდეგ გახდა შესაძლებელი. გამოჩენილმა მკვლევარმა **ლოურენს კოლბერგმა** [14] დაწვრილებით შეისწავლა და აღწერა ადამიანის მორალური განვითარების პროცესი (სტადიები) და გახადა შესაძლებელი რომ უფრო მკაფიო და გამდიდრებული შინაარსი შესძენოდა წარმოდგენებს ადამიანის მორალური განვითარებისა და ზოგადად მისი მორალური მრწამსის შესახებ.

ბოლო ხანებში მეცნიერებაში თანდათან გააქტიურდა საუბრები მორალური ინტელექტის შესახებ, მისი მიმართების შესახებ ემოციურ ინტელექტთან და ზოგადად მორალური ინტელექტის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის აქტივობაში [15], [16], [17]. სულ უფრო მეტად და მეტად იკვეთება ამ მოვლენის შესწავლის დიდი აუცილებლობა და მისთვის ადეკვატური ადგილის გამოწვავის საჭიროება ადამიანის მენტალურ სფეროში, რომელიც ქმნის მისი ქცევების ძირითად კონტურებს. ემოციური ინტელექტის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანის ემოციური განცდებით ოპერირების უნართან, ხოლო მორალური ინტელექტის შემთხვევაში საქმე გვაქვს მისი ქცევების მორალური ნორმებით ოპერირების უნართან. მორალური ინტელექტი ზოგჯერ მხოლოდ მჭიდრო კავშირში განიხილება ემოციურ ინტელექტთან. ეს არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად იმიტომ, რომ ისინი ეფუძნებიან განსხვავებულ

ფსიქიკურ მექანიზმებს: პირველი - ნებელობით პროცესებს, ხოლო მეორე - ემოციურ პროცესებს. საბოლოოდ მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება იმ აზრზე, რომ ეს ორი ხსენებული მოვლენა ერთმანეთისგან დამოკიდებლად უნდა შეისწავლებოდეს მათი მოქმედებათა არელების განსხვავებულობის გამო.

რადგან მორალური ინტელექტის შესწავლას არ აქვს დიდი ხნის ისტორია, მისი კვლევის მეთოდოლოგია ჯერ კიდევ არ არის იმ კონდიციამდე მიყვანილი, რომ თამამად შეიძლებოდეს მასზე კვლევების ჩატარება საყოველთაოდ აღიარებული კითხვარების მეშვეობით და სტანდარტიზებული წესების დაცვით ობიექტური შედეგების მიღებით. ამიტომ თეორიულ მუშაობას და მიგნებებს ჯერ კიდევ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ პრობლემების შესწავლაში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სუბიექტური კეთილდღეობა (ბედნიერება) მჭიდროდ უკავშირდება ემოციურ ინტელექტს, თუმცა იქვემდებარებს მას. ეს სავარაუდოდ შესაძლებელი ხდება იმ ოპერირების უნარის მონაწილეობით ემოციურ და ნებელობით სფეროებში, რომელიც უფრო სიღრმისეულია და გულისხმობს ან ზოგად ინტელექტს ან კიდევ უფრო ღრმა პიროვნულ მოვლენას, როგორც არის განწყობა [18]. ეს მოსაზრება განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც საუბარია სხვადასხვა სახის ინტელექტზე. საბოლოოდ ინტელექტის სახეობათა დიდი სიმრავლის გამო (ადამიანის საქმიანობათა ყოველ კონკრეტულ სფეროში ლამის მისი ადეკვატური სპეციფიკის ინტელექტი ფორმირდება) ინტელექტზე საუბრები ნაკლებად პროდუქტიული ხდება და საჭიროებს სხვა სიღრმისეული მექანიზმის მოშველიებას. ამიტომ არის გამართლებული ზოგად ინტელექტზე საუბარი შეიცვალოს საუბრებით ისეთი განწყობის შესახებ, რომლის შინაარსშიც ნაგულისხმები იქნება ამა თუ იმ უნარის სახით წარმოდგენილი ფორმალური ოპერაციების გარკვეული კონფიგურაცია. ეს ტიპური კონფიგურაცია გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის ამოცანების გადაწყვეტის შემთხვევაში. განწყობისთვის სწორედ ასეთი ზოგადობა და სიღრმისეულობა არის დამახასიათებელი და ამით განსხვავდება იგი ხისტად მოქმედი ჩვევებისგან, რომლებიც საკმაოდ დიდ ადგილს იკავებენ ინტელექტის სტრუქტურაში.

მორალურ ინტელექტში ჩართულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მთლიანობა, პასუხისმგებლობა, პატიება, თანაგრძნობა, მოთმინება, სამართლიანობა, თვითკონტროლი, სინდისი, პატივისცემა, კეთილგანწყობა, ტოლერანტობა და სხვ. ეს ის ფაქტორებია, რომელთა ოპერირების შედეგადაც შესაძლებელი ხდება სუბიექტური კეთილდღეობის მიღწევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მორალური ინტელექტი არის სუბიექტური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება. მეტად განვითარებული მორალური ინტელექტი ქმნის მეტი სუბიექტური კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობას და პირიქით. მორალური ინტელექტი ითვლება ყველაზე უფრო მაღალი დონის ინტელექტად, რომელიც ეხება ადამიანის ფსიქიკის სტრუქტურის ყველაზე უფრო მაღალ საფეხურებს. ასე მიიჩნევა მეცნიერთა უმრავლესობა. ფსიქოლოგიის სფეროში ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობები ხშირად ერთმანეთის მიმართ იერერქიულად არის განლაგებული. ფსიქიკის სტრუქტურის ელემენტთა იერარქიულ განლაგებას სისტემურ მთლიანობაში მოჰყავს მოვლენები მნიშვნელობისა და ფუნქციონების მიხედვით. სისტემურობა და წესრიგი კი საჭიროა ინდივიდის ადეკვატური და მიზანშეწონილი ქცევების განხორციელებისთვის, რაც საბოლოოდ ადაპტაციის ამოცანის შესრულებას ემსახურება და თანხვედრაშია ცოცხალი ბუნების ძირითად მოთხოვნებთან.

ფსიქიკურ მოვლენათა დიდი სიმრავლე ყოველთვის ითხოვდა არაწინააღმდეგობრივი ისეთი მიდგომის მიგნებას, რომელიც მოვლენათა შორის მყარი კავშირების დადგენას შეუწყობდა ხელს და შექმნიდა ადამიანის ქცევისეულ პროცესთა სანდო პროგნოზირების შესაძლებლობას. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადადგა ფსიქოლოგმა **აბრაამ მასლოუმ** ადამიანის მოტივთა იერერქიული სისტემის შექმნის სახით [19]. ეს მიდგომა აღმოჩნდა ძალიან პროგრესული და ნაყოფიერი ადამიანის აქტივობის ბევრი სფეროსთვის. მან დიდი პოპულარობა მოიპოვა იმით, რომ უფრო ნათელი გახდა ადამიანთა ქცევის თანმიმდევრულობა და ლოგიკა. ამრიგად ფსიქიკურ მოვლენათა იერერქიზაცია აღმოჩნდა სისტემათწარმომქნელი ფაქტორი, რომელმაც შეიტანა წესრიგი ფსიქიკურ მოვლენათა დიდი მრავალფეროვნების ადეკვატურ გააზრებაში. ამ თვალსაზრისით საქართველოში მსოფლიო მნიშვნელობის მქონე წარმატებები იქნა მიღწეული სოციალურ ფსიქოლოგიასა და განწყობის ფსიქოლოგიაში მომუშავე გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოსის შოთა ნადირაშვილის კვლევების შედეგად. მის მიერ შემუშავებული ტრიადა: **ინდივიდი-სუბიექტი-პიროვნება** აღმოჩნდა ძალიან ნაყოფიერი ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობათა იერარქიული მოწესრიგების თვალსაზრისით, რომელიც უფრო კომპლექსურია და ბევრის მომცველია, ვიდრე მასლოუს მოტივთა იერერქიული სისტემა [20]. მასლოუს მოტივთა იერერქიულმა სისტემამ გარკვეული მოდიფიცირებაც განიცადა, რაც მისი თავდაპირველი ვარიანტის სუსტ მხარეებზე მიაწინებს დიდი პოპულარობის მიუხედავად. ამ თეორიის ბაზაზე შეიქმნა რამდენიმე სხვა თეორიაც, რომლებიც მასლოუს მოტივთა იერარქიული მოდელის საფუძვრების რეკომბინირების გზით იქნა მიღებული სხვა ავტორების მიერ. მათაც ასევე თავიანთი წინააღმდეგობრივი მხარეები აღნიშნებათ.

ფსიქიკურ მოვლენათა იერარქიზაციის საკითხში ყველაზე უფრო სტაბილური აღმოჩნდა აკადემიკოსის შოთა ნადირაშვილის ტრიადული მოდელი: **ინდივიდი-სუბიექტი-პიროვნება**, რომელიც წარმოადგენს სანდო საყრდენს მორალური ინტელექტისა და სუბიექტური კეთილდღეობის ლოკალიზებისთვის აღნიშნულ იერარქიაში. საგულისხმოა ის, რომ მასლოუს მოტივთა ხუთსაფეხურიან (ან რვასაფეხურიან) იერერქიულ მოდელს პირობითად თუ დავყოფთ სამ დონედ: **დაბალი-საშუალო-მაღალი**, მაშინ მისი ყოველი დონე შეიძლება მიესადაგოს აკადემიკოსის შ.ნადირაშვილის ტრიადულ მოდელს: **ინდივიდი-სუბიექტი-პიროვნება**. კერძოდ: დაბალ დონის მოტივებს შეიძლება მიესადაგოს ინდივიდი (**ინდივიდი - დაბალი დონის მოტივები**), საშუალო დონის მოტივებს შეიძლება მიესადაგოს სუბიექტი (**სუბიექტი - საშუალო დონის მოტივები**), ხოლო მაღალი დონის მოტივებს შეიძლება მიესადაგოს პიროვნება (**პიროვნება - მაღალი დონის მოტივები**). ხსენებული ტრიადული მოდელი ეხმიანება აგრეთვე ზიგმუნდ ფროიდის კონცეფციას პიროვნების სტრუქტურის შესახებ [21]. ფროიდისეულ ტრიადაში **იდი - ეგო - სუპერეგო** სამივე კომპონენტი თანაბარძალოვნადაა წარმოდგენილი პიროვნებაში, მაგრამ თუკი თითოეულ კომპონენტს ცალ-ცალკე დომინანტურ როლს მივანიჭებდით (რაც ფროიდთან არ არის გამოკვეთილი), მაშინ მივიღებდით იერარქიის კომპონენტების ისეთვე განლაგებას, რომელიც მსგავსი იქნებოდა აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილის მიერ შემუშავებული ტრიადული მოდელის. კერძოდ: იდი გაუტოლდებოდა ინდივიდს (**იდი-ინდივიდი**), ეგო გაუტოლდებოდა სუბიექტს (**ეგო - სუბიექტი**), ხოლო სუპერეგო გაუტოლდებოდა პიროვნებას (**სუპერეგო - პიროვნება**). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილის ტრიადული მოდელი: **ინდივიდი - სუბიექტი -**

პიროვნება საინტერესოდ ეხმიანება ზემოთ განხილულ ძალიან ცნობილ და აღიარებულ თეორიებს; იგი არაწინააღმდეგობრივია და იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობები ადეკვატურად დალაგდეს ზემოთ აღნიშნულ იერარქიულ სისტემაში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ქართულ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილის მიერ შემუშავებული ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობათა იერარქიული მოდელი: **ინდივიდი - სუბიექტი - პიროვნება**, თავისი სიცხადით, თანმიმდევრულობით და ლოგიკურობით ეტალონურ მნიშვნელობას იძენს ფართოდ აღიარებული უცხოური კონცეფციების გვერდით.

იერარქიული მოდელი „**ინდივიდი-სუბიექტი-პიროვნება**“ შედგება იმ კომპონენტებისგან, რომელთა წარმოშობაც ხდება ადამიანის განვითარების პროცესში. მათი თანმიმდევრობა ადეკვატურად ასახავს განვითარების სტადიების თანმიმდევრობის ლოგიკას და, ამდენად, განსაკუთრებული დამაჯერებლობით ხასიათდება. მას ასევე პოზიციებს უმყარებს ჟან პიაჟეს საყოველთაოდ აღიარებული თეორია ადამიანის ინტელექტის განვითარების შესახებ. ამ თეორიის მიხედვით განვითარების პროცესის საწყის ეტაპზე ჯერ ხდება სენსომოტორული ინტელექტის ჩამოყალიბება. შემდეგ სტატიებზე იზრდება კონკრეტული შინაარსებისგან აბსტრაგირება და 11 წლის ასაკისთვის უკვე ჩამოყალიბებულია ფურმალური ოპერაციების გამოყენების უნარი, რომელიც შემდეგ კიდევ აგრძელებს განვითარებას. ამრიგად, ადამიანს არსებობის დასაწყისიდანვე უხდება თავისი კოგნიტური უნარების და ინტელექტის განვითარება, რაც სრულიად გამართლებულია ევოლუციური თვალსაზრისითაც. ცოცხალი არსებები ჯერ „ერკვევიან“ სიტუაციაში და შემდეგ იწყებენ მასში მოქმედებას. გადარჩენისთვის ეს აუცილებელი წინაპირობაა. ცხოვრებისეული სიტუაციებიც ადამიანს ყოველთვის უბიძგებს კოგნიტური უნარების განვითარებისკენ. ასე ხდება აღზრდის პროცესში, განათლების სხვადასხვა ეტაპზე, შრომითი საქმიანობის ეტაპებზე და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ვითარებებშიც. ყველგან და ყოველთვის ადამიანს პირველ რიგში მოეთხოვება კოგნიტური ინტელექტის აქტიური გამოყენება, რაც მისი კოგნიტური განვითარების მუდმივ სტიმულირებას იწვევს. რაც შეეხება ემოციურ ინტელექტს და მორალურ ინტელექტს, ისინი ნაკლებად „მოთხოვნადები“ არიან და სამწუხაროდ ცნობიერების პერიფერიაზე რჩებიან, რაც ნაკლებად ემსახურება ადამიანის სრულფასოვნების მიღწევის აქტუალურ ამოცანას.

აღნიშნულ თეორიათა შორის შეიძლება არსებობდეს გარკვეული წინააღმდეგობები იერარქიის პირველ და მეორე დონეებზე - ინდივიდი და სუბიექტი -, მაგრამ რაც შეეხება მორალურ ინტელექტს, იგი ყოველთვის რჩება ყველაზე მაღალ საფეხურზე, რომელთანაც საკმაოდ ადვილად არის შესაძლებელი ისეთი ფსიქიკური მოვლენების დაკავშირება, როგორებიცაა: „პიროვნება“ (შ. ნადირაშვილი), „თვიაქტუალიზებული“ პიროვნება (ა. მასლოუ), „სუპერეგო“ (ზ. ფროიდი), „დაძლიებული ასაკობრივი კრიზისები“ (ე. ერიქსონი), „მორალური განვითარებულობა“ (ლ. კოლბერგი) და სხვ. სწორედ მორალური ინტელექტი და მისი განვითარების აუცილებლობა უნდა იყოს ყველაზე ინტენსიური ყურადღების საგანი, ვინაიდან ყველაზე მეტად იგი პასუხობს ადამიანის უმაღლეს მისწრაფებებს და იგი ქმნის სუბიექტური კეთილდღეობის (ბედნიერების) მიღწევისთვის რეალურ საფუძვლებს. აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ მხოლოდ მორალური ინტელექტის განვითარება მიიყვანს ადამიანს სასურველ სულიერ მდგომარეობამდე. უნდა გათვალისწინებული იქნას ის, რომ მორალური ინტელექტი

ეფუძნება ემოციურ და კოგნიტურ ინტელექტებს და მათთან კომპლექსში არის იმის შემძლე, რომ ადამიანი მიიყვანოს სუბიექტური კეთილდღეობის მდგომარეობამდე. მოვლენათა იერარქიის ყველა აღნიშნული საფეხური განვითარების პროდუქტებს წარმოადგენს სადაც მაღალი დონე, როგორც ზედნაშენი, ეფუძნება მის ქვედა დონეს და მოქმედებს მასთან სინერგიაში. მათ შორის მიმართებები ცალმხრივია: ქვედა დონე შეიძლება ფუნქციობდეს ზედა დონის აქტიური ჩართულობის გარეშე, ხოლო ზედა დონე ვერ იარსებებს მისი ქვემოთ არსებული დონის ფუნქციობის გარეშე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული მორალური ინტელექტი აუცილებლად საჭიროებს მასთან ერთად განვითარებული ემოციური და კოგნიტური ინტელექტების სინერგიულ ფუნქციონირებას. დაბალი დონის ინტელექტი (კოგნიტური) ყველაზე ადვილად ექვემდებარება განვითარებას ხელშემწყობი პირობების დიდი სიმრავლის გამო. ემოციური ინტელექტი შედარებით უფრო ძნელი განსავითარებელია, მაგრამ მისი დიდი სიახლოვე ადამიანის ქცევის ცენტრალურ (ემოციურ) მექანიზმებთან, რომლებიც მუდმივ აქტივობაში იმყოფებიან, უფრო მეტად უწყობს ხელს მის განვითარებას, ვიდრე ეს ხდება მორალური ინტელექტის შემთხვევაში. ამდენად, ყურადღების გამახვილებას და განვითარებაში ხელშეწყობას ყველაზე მეტად საჭიროებს მორალური ინტელექტი - ყველაზე მაღალი დონის ინტელექტი.

მორალური ინტელექტის განვითარება საჭიროებს აქტიურ ხელშეწყობას საზოგადოების ისეთი ქმედითი ინსტიტუტების მხრიდან, რომლებიც არიან უშუალო შეხებაში ადამიანის მორალურ პრობლემებთან. ეს ინსტიტუტები არის შემდეგი: სარწმუნოება, სამართალი და განათლება. სარწმუნოებაში ადამიანი განიცდის ნებაყოფლობით განვითარებას, წინსვლას მაღალი მორალური სტანდარტების მიღწევისა და გაშინაგნების მიზნით. თუკი ადამიანი ნებაყოფლობით ვერ/არ ახერხებს მორალური სტანდარტების მიღწევასა და გაშინაგნებას, მაშინ გარკვეულ გარემოებათა ფარგლებში სამართალი ახდენს მასზე აქტიურ და სპეციფიკურ ზემოქმედებას დასახული მიზნის მისაღწევად. განათლების სფერო, თავის მხრივ, უნდა ახდენდეს ახალგაზრდობისთვის ისეთი სარწმუნოებრივი და სამართლებრივი ღირებულებების გადაცემას, რომლებიც მათ შეაძლებინებენ სწორი მორალური ორიენტირების დასახვას, გაშინაგნებას და სამომავლოდ საზოგადოებაში პოზიტიური სოციალური პროცესების განვითარებისთვის ხელის შეწყობას.

ლიტერატურა

1. Judge T. and Klinger, R. (2008) Job Satisfaction: Subjective Well-Being at Work. In: Eid, M. and Larsen, R., Eds., *The Science of Subjective Well-Being*, Guilford Publications, New York, p.393-413.
2. Гоулман Дэниел: Эмоциональный интеллект. Почему он может значить больше, чем IQ. Изд.: “Манн, Иванов и Фербер”, 2018 г.
3. *The Cambridge Handbook of Intelligence*. Second Edition. Edited by Robert J. Sternberg. Cambridge, Cambridge University Press, 2020.
4. გოროშიძე გ., ზანგალაძე თ. სუბიექტური კეთილდღეობის დომინირება ინტელექტუალურ აქტივობაზე. ინტერნეტ-აკადემია, იმპაქტფაქტორიანი ელექტრონული ჟურნალი განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია. 2021, N 4 (61), გვ. 103-115.
5. Hazem Zohny. Moral enhancement and the good life. *Medicine, Health Care and Philosophy* volume 22, pages 267–274 (2019).
6. Neera K. Badhwar. Happiness. In: *The Routledge Handbook Of Philosophy Of Well-Being*.

- London, Routledge, 2015.
7. Ruth Chang. Putting Together Morality and Well-Being. University of Oxford, 2004.
 8. Suikkanen, Jussi. Morality and wellbeing. University of Birmingham, 2014.
 9. Yew-Kwang Ng. Happiness, Life Satisfaction, or Subjective Well-being? A Measurement and Moral Philosophical Perspective. Singapore, Nanyang Technological University. 2016
 10. Leanne M. Olson. The Relationship Between Moral Integrity, Psychological Well-Being and Anxiety. Wisconsin Lutheran College. 1997.
 11. Leanne M. Olson. The Relationship Between Moral Integrity, Psychological Well-Being and Anxiety. Wisconsin Lutheran College. 1997.
 12. Piaget J. The development of thought: Equilibrium of cognitive structures. New York, Viking Press, 1977.
 13. Piaget J. The Moral judgement of the child. New York, Macmillan, 1965.
 14. Kohlberg L. The philosophy of moral development. New York, Harper and Row, 1981.
 15. Kruger T. Moral Intelligence: The Construct and Key Correlates. University of Johannesburg, 2012.
 16. Tanner C., Christen M. Moral Intelligence – A Framework for Understanding Moral Competences. Zeppelin University & University of Zurich, 2013.
 17. Toprak M., Karakus M. Teachers' Moral Intelligence: A Scale Adaptation into Turkish and Preliminary Evidence. The American University in Cairo, Coventry University, 2018.
 18. გოროშიძე გ. ზოგადი ინტელექტი როგორც განწყობისეული სტრუქტურა. დ. უზნაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 1999, გვ. 22-23.
 19. Maslow A.H. Motivation and personality. New York, Harper and Row, 1970.
 20. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია. სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
 21. Freud S. Introductory lectures on psycho-analysis. London, Allen & Unwin, 1923.

—
Article received 2022-09-15